ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

N(N)LE Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

№ _____ 20.12.2021 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის

ბრძანება № 41

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტსტუსშეჩერებული სტუდენტებისთვის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში საშეღავათო პირობების განსაზღვრის შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს, რომელთაც სტუდენტის სტატუსი შეუჩერდათ 2021 წლის 20 დეკემბრამდე, 2021 – 2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, შეეთავაზოთ ***ფინანსური საშეღავათი შემდეგი პირობების გათვალისწინებით:***

1.1. 50%-იანი საუნივერსიტეტო თანადაფინანსება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულებამდე;

შენიშვნა: ა) სახელმწიფო სასწავლო/სოციალური პროგრამის ფარგლებში მინიჭებული გრანტის ან სხვა სახის დაფინანსების არსებობის შემთხვევაში, საუნივერსიტეტო თანადაფინანსება გავრცელდება სწავლების საფასურის სტუდენტის წილ გადასახადზე.

ბ) საშეღავათო პირობები/საუნივერსიტეტო თანადაფინანსება არ ვრცელდება დამატებით გასავლელი სასწავლო/კვლევითი კომპონენტის შესწავლის/მომსახურების განმეორებით მიღების მიზნით დაკისრებულ საფასურზე (თუ დამატებითი საფასურის დაკისრების საჭიროება წარმოიშვება სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდგომ სწალის პერიოდში).

1.2. განთავისუფლდნენ 2021 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით მათ სახელზე რიცხული ფინანსური დავალიანების გადახდის ვალდებულებისაგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

1.3. შეთავაზებული საშეღავათო პირობებით სტატუსის აღდგენის მსურველ სტუდენტებს თანადაფინანსების გათვალისწინებით განსაზღვრული მათი

წილი სწავლების წლიური საფასურის გადახდა დაევალოთ ყოველწლიურად, 5 მარტამდე;

1.4. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საშეღავათო პირობები/ საუნივერსიტეტო თანადაფინანსება სტუდენტებს გაუგრძელდეთ საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტი აქტიური სტატუსით დასრულების შემთხვევაში, სტატუსის შეჩერების შემთხვევაში კი სწავლების დარჩენილი ვადით სახელშეკრულებო ურთიერთობა გაგრძელდეს ძველი პირობებით;

1.5. თუ ამ პუნქტის 1.3. ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში და წესით სტუდენტს გადახდილი აქვს სწავლის წლიური საფასური, თუმცა, შესაბამისი წლის დასრულებამდე შეიჩერებს სტუდენტის სტატუსს, მას წარმოეშობა შესაბამისი წლის საფასურის სრულად გადახდის ვალდებულება, ფინანსური შეღავათის გათვალისწინების გარეშე.

2. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობებით სარგებლობის სურვილის შემთხვევაში სტუდენტებთან შეთანხმების გაფორმება დაევალოს შესაბამისი სკოლის დეკანატს.

3. ბრძანების შინაარსის გაცნობა უნივერსიტეტის სტუდენტთა შესაბამისი კატეგორიისათვის დაევალოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლების დეკანატებს.

4. ბრძანება გასაცნობად გაეგზავნოს: სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; უნივერსიტეტის ბუღალტერიას, საფინანსო სამსახურს.

5. ბრძანება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენელი,
ბოდბელი მთავარეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი) + [illegible]

GEORGIAN UNIVERSITY OF PATRIARCHATE OF GEORGIA
IN THE FIRST CALLED
205233022